

20 აგვისტო, 2019

04/03-719

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს
ბატონ არჩილ თალაკვაძეს
გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარეს
ბატონ კახაბერ კუჭავას

ასლი:
გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

როგორც მოგეხსენებათ, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 36-ე მუხლის თანახმად, საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს აქვს უფლება გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კოდექსის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილება, თუ მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არ უზრუნველყო ამ კოდექსით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში მისი მონაწილეობა ან სხვაგვარად დაარღვია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები. კოდექსის 46-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, „სკრინინგის გადაწყვეტილება, სკოპინგის გადაწყვეტილება, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში (თანამდებობის პირთან) ან სასამართლოში“.

ასევე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-მუხლის თანახმად, „(1.) **თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი**, ადმინისტრაციულ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, თუ იქ არსებობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი თანამდებობის პირის ან სტრუქტურული ქვედანაყოფის ზემდგომი თანამდებობის პირი. (2.) ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის თაობაზე წარდგენილ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო“.

ყოველივე აღნიშნულის მიუხედავად, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ გამოცემული სკრინინგის გადაწყვეტილების, სკოპინგის გადაწყვეტილებისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შესახებ გამოცემული ბრძანებები¹ ითვალისწინებს გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის მხოლოდ სასამართლოსთვის მიმართვის შესაძლებლობას. რაც გარდა იმისა, რომ **ენინააღმდეგება**

¹ ბრძანებები განთავსებულია სამინისტროს ვებ-გვერდზე პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი დოკუმენტების განყოფილებაში <https://mepa.gov.ge/Ge/FinancialAndMaterialResources>

კანონს, ძალიან სერიოზულ ბარიერებს ქმნის საზოგადოებისათვის მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად - რისი ვალდებულებაც საქართველომ ჯერ კიდევ 2000 წელს აიღო „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის რატიფიცირებით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ამ კანონსაწინააღმდეგო პრაქტიკით განსაკუთრებული მონდომებით სარგებლობს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია და ასევე, სრულიად უკანონოდ თავს არიდებს კანონით დადგენილი ვალდებულების შესრულებას და უარს ამბობს ადმინისტრაციული საჩივრების განხილვაზე. შედეგად, მივიღეთ სიტუაცია, როდესაც სკრინინგის, სკოპინგისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სირთულისა და მნიშვნელობის საკითხზე დავა ყველა დაინტერესებულ პირს (ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ მოქალაქეს, ორგანიზაციას თუ თავად ნებართვის მძიებელ მენარმეს) უწევს სასამართლოში - შესაბამისად უწევს სარჩელის მომზადებისა და საქმის წარმართვისათვის ადვოკატის მომსახურების ხარჯის განევა, სახელმწიფო ბაჟის გადახდა და დროში საკმაოდ განელილი სასამართლო პროცესის გავლა.

გთხოვთ, გამოიყენოთ თქვენს ხელთ არსებული ყველა ბერკეტი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ზემოაღწერილი კანონსაწინააღმდეგო პრაქტიკის აღმოსაფხვრელად და ამ სფეროში კანონის უზენაესობის უზრუნველსაყოფად.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.
პატივისცემით,

ნინო გუჯარაიძე
აღმასრულებელი დირექტორი